

სკოპინგის დასკვნა N19

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: 33,3494 ჰა ფართობზე სასარგებლო წიაღისეულის (4835000 მ³ ქვიშა-ხრემის) ღია კარიერული წესით მოპოვება;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „მაქრო ქონსტრაქშენ“ (ს/კ 445433120);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 12.01.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი - ეკომეტრი“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „მაქრო ქონსტრაქშენმა“, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (4835000 მ³ ქვიშა-ხრემის) ღია კარიერული წესით მოპოვების სკოპინგის ანგარიში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ (ს/კ 445433120) მიერ, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. საგარეჯოსა და ყანდაურას ადმინისტრაციულ ერთეულებში, **333 494 მ²** ფართობზე დაგეგმილია **4 835 000 მ³** ქვიშა-ხრემის ღია კარიერული წესით მოპოვება. სალიცენზიო ფართობი მოიცავს ორ უბანს. პირველი უბნის ფართობია **83 484 მ²**, სადაც მოსაპოვებელი ქვიშა-ხრემის მოცულობა შეადგენს **834 840 მ³**-ს, სიმძლავრე 10 მ-ს. მეორე უბნის ფართობია **250 010 მ²**, მოსაპოვებელი ქვიშა-ხრემის მოცულობა - **4 000 160 მ³**, სიმძლავრე - 16 მ. შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ 2023 წელს გაცემულია ლიცენზია (N 750). სალიცენზიო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: **I უბანი:** X- 527618 Y-4617790; X- 527413 Y- 4617470; X- 5272476 Y- 4617775; X- 527294 Y-4617916; **II უბანი:** X- 546370 Y- 4609045; X- 546230 Y-4608573; X - 546689 Y- 4608448; X- 546653 Y- 4608336; X-546536 Y- 4608348; X- 546525 Y- 4608306; X- 546396 Y- 4608337; X- 546341 Y- 4608197; X- 546141 Y- 4608272; X- 546233 Y- 4608492; X- 546025 Y- 4608526; X- 546050 Y- 4608613; X- 545999 Y- 4608664; X- 546118 Y- 4609103; X- 546204 Y- 4609107. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პირველი უბნიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 978 მეტრით (ს/კ: 55.12.62.000.012), ხოლო მეორე უბნიდან დაახლოებით - 712 მეტრით (ს/კ: 55.06.60.037.603).

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ. მათ შორის, განხილულია უმოქმედობის (ნულოვანი), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილმდებარეობისა და წიაღისეულის მოპოვების

ტექნოლოგიური ალტერნატივები. ალტერნატივების შერჩევა მოხდა ტექნიკურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ორივე უბნის სამთო-ტექნიკური პირობები დამაკმაყოფილებელია და მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) მოპოვება განხორციელდება ღია კარიერული წესით, 8-10 მეტრიანი ზოლების (სპირაჯოები) მიხედვით. საბადოს გახსნა განხორციელდება ტრანშეით. ქვიშა-ხრეშის მოპოვება და სატვირთო მანქანებში ჩატვირთვა მოხდება ექსკავატორის გამოყენებით. კარიერებზე მოპოვებული ქვიშა-ხრეში გადაიზიდება საავტომობილო მაგისტრალისთვის განკუთვნილ სამშენებლო ბანაკების ტერიტორიებზე სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარებში დამუშავების მიზნით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ორივე უბანზე მისასვლელად გამოყენებული იქნება მშენებლობის ეტაპზე მყოფი „თბილისი-ბაკურციხის“ საავტომობილო მაგისტრალის პირველი და მეორე ლოტის ნაწილები, რომლებიც მოხრეშილია და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ნედლეულით დატვირთული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება დასახლებული პუნქტის სიახლოვეს არ არის გათვალისწინებული.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაცემულია 10 წლის ვადით, 2023 წლის 17 აგვისტოდან 2033 წლის 18 აგვისტომდე. საბადოს დამუშავების სამუშაოების განხორციელება წელიწადში 260 დღე, 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროექტის ფარგლებში სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილი არ არის და გამოყენებული იქნება საავტომობილო მაგისტრალისთვის განკუთვნილი სამშენებლო ბანაკი. II უბანზე, რომელიც შედარებით დიდი მანძილითაა დამორებული სამშენებლო ბანაკიდან, შესაძლოა განთავსდეს ბიოტუალეტი.

პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია ჯამურად 66 700 მ³ მოცულობის ნიადაგის მოხსნა. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ორივე უბანზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის ნაწილი მოხსნილი და დასაწყობებულია (დასაწყობების ადგილების GPS კოორდინატები: I უბანი X-527620 Y-4617783; X- 527617 Y-4617779; X-527294 Y- 4617918; X- 527292 Y-4617913; II უბანი: X- 546233 Y- 4608581; X- 546228 Y-4608583; X- 546368 X- 4609068; X- 546363 Y- 4609070) რაზეც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი N084873 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობის ფაქტზე.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ეტაპზე მოსალოდნელია დაახლოებით 45000-50000 მ³ მოცულობის ფუჭი ქანების წარმოქმნა, რომლებიც დროებით დასაწყობდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უბნებზე, GPS კოორდინატები: I უბანი (X-527247; Y-4617775), (X-527294; Y-4617916); II უბანი (X-546118; Y-4609103), (X-546204; Y-4609107), (X-546370; Y-

4609045). წარმოდგენილი ინფორმაციით, ფუჭი ქანების საბოლოო განთავსების საკითხები დაზუსტებული იქნება გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ორივე უბანი გეოლოგიურად სტაბილურია და საშიში გეოდინამიკური პროცესები არ აღინიშნება. I უბნისთვის დამახასიათებელია მაღალი ხარისხის მიწისქვეშა წყლების ჰორიზონტები, თუმცა უშუალოდ საკვლევი უბნის ფარგლებში და მის მიდამოებში გრუნტის წყლების გამოვლინება არ აღინიშნება.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიებზე ჩატარებული საველე კვლევის შედეგად I უბანზე გამოვლინდა სამი სახის მერქნიანი მცენარე (მეძვი - *Paliurus spina-christi*, კვრინჩხი-*Prunus spinosa*, ასკილი - *Rosa canina*), II უბანი თავისუფალია მერქნიანი მცენარეებისგან. საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის საზღვრებში. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ანთროპოგენური ზემოქმედების გათვალისწინებით, ფაუნის წარმომადგენლებისთვის ხელსაყრელი ჰაბიტატი არ ფიქსირდება. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია სარეკულტივაციო სამუშაოები.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ლიცენზირებული ტერიტორიის ორივე უბანზე, ჩატარებული საველე კვლევების დროს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ გამოვლენილა. ორივე უბანზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სამუშაოები განხორციელდება შესაბამისი სპეციალისტის მეთვალყურეობით.

საბადოს დამუშავების პროცესში გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებასთან, ასევე ატმოსფერული ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევასთან. ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების, ასევე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროებია სატრანსპორტო საშუალებები, რომლითაც მოხდება უშუალოდ კარიერის დამუშავება და მოპოვებული მასალის ტრანსპორტირება. ნედლეულის ტრანსპორტირება განხორციელდება მარაგადახურული სატრანსპორტო საშუალებებით დასახლებული პუნქტებისგან მოშორებით.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის და საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაციის, როგორც გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვების შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების

ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2024 წლის 8 თებერვალს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში და სოფ. ყანდაურას საჯარო სკოლის შენობაში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის, შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“, შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრის - ეკომეტრის“ წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვების ფარგლებში პროექტთან დაკავშირებით დასმული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა: პროექტის ვადებს, პროექტის განხორციელებით გამოწვეულ რისკებს, მოსახლენი გრუნტის მართვის საკითხებს და მოსაპოვებელი ნედლეულის მოცულობას. დასმულ საკითხებთან დაკავშირებით, შესაბამისი განმარტებები გააკეთეს შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ და შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრის - ეკომეტრის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვებზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი განმარტებები ასახულია საჯარო განხილვების ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს: „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
- 2.1 გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
3. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც

მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ.

4. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილების აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის ფართობები, საკადასტრო კოდ(ებ)ი, Shp ფაილები და GPS კოორდინატები;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით, მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნიკური პარამეტრების ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- წიაღისეულის მოპოვების უბნებიდან უახლოეს მოსახლეობამდე მანძილის შესახებ ინფორმაცია, რუკაზე მითითებით;
- ინფორმაცია წიაღისეულის მოპოვების/საბადოს დამუშავების შერჩეული მეთოდის/ტექნოლოგიის შესახებ. მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იქნეს შერჩეული მეთოდის გარემოსდაცვითი და ტექნიკური უპირატესობების დასაბუთება;
- ინფორმაცია საბადოზე არსებული მარაგების შესახებ, წიაღისეულის მოპოვების ხანგრძლივობისა და გეგმა-გრაფიკის მითითებით;
- ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოსაყენებელი ტექნიკა-დანადგარების და მათი განთავსების ადგილის შესახებ;
- სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია. მათ შორის:
 - ტრანსპორტირების სქემის, სამომრავო მარშრუტების (რუკაზე ჩვენებით), ტრანსპორტირების პირობების (მაგ: დაბალი სიჩქარე, სამომრავო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა), სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკის მითითებით;
 - ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელი/წიაღისეულის ტრანსპორტირებისათვის გამოყენებული გზების შესახებ;
 - ტრანსპორტირების სქემის და გეგმა-გრაფიკის შესახებ მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის ან/და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - ინფორმაცია მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროებისა და მორწყვის პერიოდულობის (საჭიროების შემთხვევაში) შესახებ;
- ინფორმაცია საბადოს დამუშავების ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების და მათი მართვის ღონისძიებების შესახებ;

- ინფორმაცია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი შესაძლო სიტუაციების შესახებ;
- პროექტის ფარგლებში წყლის გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- პროექტის ფარგლებში ჩამდინარე წყლების წარმოქმნისა და მართვის საკითხების შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს მდგომარეობის აღდგენის საშუალებების შესახებ.

4.1 ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს:

- სრულფასოვან კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია პროექტის გავლენის ზონაში არსებულ მცენარეებზე, ცხოველებზე, მათი საბინადრო, საკვები ადგილებისა და სამიგრაციო გზების არსებობაზე (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებზე და ჰაბიტატებზე), მათზე შესაძლო ზემოქმედებაზე, ამ ზემოქმედების თავიდან აცილებაზე და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ღონისძიებებზე. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოაღნიშნული კვლევის შედეგები ფოტომასალასთან ერთად;
- ზემოაღნიშნული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით, უნდა შემუშავდეს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის გეგმა სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, აისახება ბიომრავალფეროვნების ცალკეულ კომპონენტებზე და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხები, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პრევენციული, მათ შორის საკომპენსაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. გეგმა, ასევე უნდა მოიცავდეს დაკვირვების პერიოდულობას/სიხშირეს, ხანგრძლივობასა და სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხებს;
- სკოპინგის ანგარიშში კუმულაციური ზემოქმედების ნაწილში მითითებულია, რომ საპროექტო არეალში მსგავსი ტიპის საქმიანობები არ არსებობს. დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მსგავსი ტიპის საქმიანობების არ არსებობა არასაკმარისია კუმულაციური ზემოქმედების შესაფასებლად, შესაბამისად აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში კუმულაციური ზემოქმედების შეფასებისას.

- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების შედარებითი ანალიზი და შერჩეული ალტერნატიული ვარიანტის სათანადო დასაბუთება, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების კუთხით.
- გზმ-ს ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის (მათ შორის, ფუჭი ქანების სანაყაროს) მოწყობისას ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ.

5. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, მათ შორის: მოსალოდნელი ემისიები, გაფრქვევის წყაროები, გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაბნევის ანგარიში. ამასთან, მოცემული უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;
- გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტრანსპორტირების ეტაპზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე, გრუნტის ხარისხზე და ბუნებრივ ლანდშაფტზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების მითითებით. მათ შორის, წარმოდგენილი იქნეს მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურების ადგილებისა და დაბინძურების კონტროლის შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ეტაპზე გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წიაღის მოპოვების უბნების სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული ან/და საპროექტო საქმიანობების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების, სატრანსპორტო ოპერაციებით გამოწვეული ზემოქმედებისა და ხმაურის გავრცელების კუთხით), ასევე კუმულაციურ ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;

- გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- ინფორმაცია ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე სარეკულტივაციო სამუშაოების განხორციელების შესახებ;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკის მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმა;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის მეთოდის, მონიტორინგის სიხშირისა და სხვ. მითითებით);
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

6. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინფორმაციით, ლიცენზირებული ტერიტორიის II უბანი მდებარეობს ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის ღარული გამანაწილებელი არხის სამხრეთით, 30 მეტრში. აღნიშნულ უბანზე, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას არ უნდა მოხდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის დაზიანება. ამასთან, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას ამოღებული გრუნტი არ უნდა განთავსდეს ღარული არხის სიახლოვეს და სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას არ უნდა მოხდეს სამელიორაციო სისტემებისა და მათი საექსპლუატაციო გზების დაზიანება. მათი დაზიანების შემთხვევაში, დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს შპს „საქართველოს მელიორაციასთან“ შეთანხმების დამადასტურებელი ინფორმაცია;

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ეტაპზე მოსალოდნელია დაახლოებით 45000-50000 მ³ ფუჭი ქანების წარმოქმნა. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია მოპოვებული წიაღისეულის დროებითი და საბოლოო დასაწყობების ადგილების (სქემატურ ნახაზზე და shp ფაილებზე ასახვით) შესახებ, დასაწყობების პირობების მითითებით;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და ქვეთავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „მაქრო ქონსტრაქშენის“ მიერ, წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, 33,3494 ჰა ფართობზე სასარგებლო წიაღისეულის (4835000 მ³ კვიშა-ხრემის) ღია კარიერული წესით მოპოვებას, **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების დაცვით.